სახალხო გაზეთი

№ 506 კვირა, 22 იანვარი 1912 წ. № 506

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ქართული თეატრი, კვირას, 22 იანვარს, 1912 წ.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო დღესასწაულის გეგმა

დილით 12 საათზე. 1. მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას სცენაზე გამოიყვანს მხცოვანი მგოსანი ა კ ა კ ი და მიმართავს სიტყვით. 2. „მრავალ-ჟამიერ“ კანტატა ზ. ფალიაშვილისა, ორკესტრი „ახალი კლუბისა“ და შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილორმონიულ საზოგადოებისა. ხოროს და ორკესტრს ლოტბარობს ზ. ფალიაშვილი. 3. მილოცვები სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა და პირთა. (შიგა და შიგ იგივე ხორო ქართულ ეროვნულ სიმღერებს იმღერებს). — დილის დღესასწაული დასრულდება იუბილარის სიტყვით —

საღამოთი (8 საათზე). 1) შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილ-არმონიულ საზოგადოებისა და „ახალი კლუბის“ ორკესტრი შეასრულებს **კანტატას**; 2) ქართულ დრამ. საზოგადოების დასის მიერ **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის, ელ. ალექსი-მესხიშვილის, ვასო აბაშიძისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

1 **პარიზელი ბიჭი** კომედ. 2 მოქ. თარგ. გ. ჯორჯაძისა. 2) **ბიძიასთან გამოხუმრება** ხუმრობა ერთ მოქ. რაფ. ერისთავისა. **მილოცვა დრამატიულის** და დასა — **დასისა** — სრულ **აპოთეოზი**

შენიშვნა: ჩაწერილი ბილეთები შეინახება მხოლოდ 20 იანვარს საღამომდე. (3—194—3)

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისთანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

კვირას, 22 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ

ვანო ზაქარიას ძის ჩხიკვაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ მისი გულდამწვარი მშობლები **სოფიო გრიგოლის ასული** და **ზაქარია ივანეს ძე ჩხიკვაძენი,** შვილებითა და მამიდით. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ ს., ხოლო პანაშვიდი $11^1/_2$ საათზე. (2—1059—2)

ქართული თეატრი

შაბათს, 28 იანვარს

ქართული დრამ. საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად

წარმოდგენილი იქნება

ელენე თარხნიშვილის, ივანე სარაჯიშვილის და ბ-ნი ბროჯის მონაწილეობით

ნიკ. ქართველიშვილის ლოტბარობით

ვერდის ოპერა

რიგოლეტო

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასაში. (4—188—2)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „კოდალა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.6)

მიიღება ხელის მოწერა ამა წლის 25 იანვრიდან 25 თებერვლამდე ორგინალურ თხზულებაზე

«როსკიპი»

რომანი ორ ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან დაახლოვებით 360 გვ. **დ. კასრაძისა.**

ფასი ხელისმომწერთათვის 70 კაპ. წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდებათ მარტის დამლევს უსათუოდ. ხელის მოწერა მიიღება: „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქციაში ერასტი ბრდელაძესთან და მოსკოვის ქ. სტამბა ლოსაბერიძისა დ. ნაკაიძესთან. გამომცემელი ოთ-ამწყობთა ამხანაგობა **„სხივი“.** ფულის გამოგზავნა და წიგნების დაკვეთა ამ ადრესით: **Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“ Э. Д. Горделадзе.** აგენტებს დაეთმობათ 20%. (3—1601—2)

ახლად გაიხსნა

საქარხნო განყოფილება

სარატოვის სარპინკების მეფარზნეთა

ე. ე. მაიერის სავაჭრო სახლისა.

(ტფილისი, ერევნის მოედანი, „კავკაზის“ სასტუმროს ქვეშ).

მაღაზიაში შერჩევით იშოვება დიდ-ძალი: **სარპინკა,** აბრეშუმისა, აბრეშუმ-ნარევი, და თხელი და სუფთა ადგილიანი; **თეთრეულის განყოფილებაში** იშოვება თეთრეული ინგლისურად ნაქსოვი საუკეთესო ხარისხის სარპინკისა, **ჩულქები და წინდები** ნამდვილ სარპინკის ნართიდან ნაქსოვი; **ქვედა-ტანი** საუკეთესო აბრეშუმის სარპინკისა. (100—1014—5)

ძმათა ა. და ა. მილოვების

სავაჭრო სახლი

აცხადებს, რომ **19 იანვრიდან 26 იანვრამდე** დანიშნულია წელიწადში ერთხელ ჩვეულებად დადებული შვიდ-დღიანი

უდიდესი იაფი ვაჭრობა

აბრეშუმეულისა, მატყლეულისა, ტილოსი, ბამბეულისა საქონლის და **უთვალავ** ინგლისურ მაუდისა, აგრეთვე მზად შეკერილ **კაბებისა,** და **ხალათებისა,**

მეტის-მეტად იაფად

იაფ ვაჭრობის დღეებში, ნაშუადღევის $2^1/_2$—4 საათამდე სადილობის დროს, მაღაზია დაკეტილი იქნება. (3.1057.3)

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქუჩა, ქლენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, სიმღერა (solo) მუსიკ. თეორიისა, ნოტების კითხვის (solfegio), ჰარმონიის, ენციკლოპედიის და ხოროს კლასებში დაიწყება 2 იანვრიდან, ყოველ დღე (კვირა-უქმეების გარდა), დილის 10-დან 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოს, ვიოლონჩელის და კონტრაბასის კლასებში ღირს 60 მან. წელიწადში, სკრიპკის კლას. 60 და 75 მან. სიმღერა (solo) 75 მან. თეორეტიულ კლას. 15 მან. სწავლის ფასი, ნახევარის წლისა უნდა შემოტანილი იყოს წინდაწინ. (7.151.5)

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა ნიიღება ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში“. თბილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

(20—1655—5) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა.

ამა წლის 25 იანვრიდან იხსნება მეორე პარალელური განყოფილება. **კურსი 10 თვიანია.** სწავლის ფასი 100 მან. კურსებზე შესასვლელად საჭიროა ოთხ-კლასიანი განათლება. მსურველებს ასწავლიან კურსებზე **უცხო ენებს** (ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს) და მანქანაზე წერას.

თხოვნა მიიღება კურსების კანცელარიაში ყოველ-დღე, დილის 10—12 საათამდე. (2—1053—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -

(წლ. 1090 256)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 5.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ **ბარგის მზიდავთა** (მედროგენი, მეპოვოზკენი, მეურმენი და სხვა), **მამასახლისისა** და **მის ნაცვლის** არჩევნები დანიშნულია **პარასკევს, 27 იანვრისათვის, ნაშუადღევის 4 საათზე.** ამისათვის სთხოვს ბარგის საზიდ ეტლების პატრონთ, აღნიშნულს ვადაზე მობრძანდნენ ქალაქის გამგეობის სადგომში, სათანადო ბალთებით (ბლიახებით), ცხენებზე დადებულ ბაჟის გადახდის დამადასტურებელ ბარათებით (კვიტანციებით) და სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით. (1—1066—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულებ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ. ავ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—251)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მებრაბიანცი

წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—82).

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—82).

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—35).

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ვ. მ. ღოღობერიძე
იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაცილით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--20)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 8-8)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 60).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.22)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას. ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, ელისაბედის ქუჩა, № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.46).

სახალხო სამუსიკო დასაკრავთა
ვაჭრობა
ი. ე. ბუტკოსი და პ. ე.
კოსარევისა
ტფილისი, ვერის დაღმართი, № 1.
გასაყიდად გვაქვს აუარებელი სკრიპკები, შიგარჩევით, ვიოლონჩელები, კონტრაბასები, გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ვენის გარმონები—პინჩენსკის სისტემისა და სარატოვის გარმონები. რადგანაც საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ვიღებთ და ბინის ქირადაც ბევრს არა ვხარჯავთ ჩვენი საქონლის ფასები მეტის-მეტად იაფია. იაფობა ყოველ მეტოქეობის გარეშე.
ყოველგვარი სიმები.
შეიძლება ფასის ნაწილობით გადახდა და საკრავების ქირით წაღება. აგრეთვე გვაქვს ყველა სამუსიკო საკრავთა სახელმძღვანელონი, ეტიუდები, კონცერტები და უდიდესი არჩევა სანი. ქაღალდისა.
ვკისრულობთ ყველა სამუსიკო დასაკრავთა შეკეთებას. აქვე იკითხეთ გამოცდის მუსიკის მასწავლებელთა მისამართი. (10.1041.2)

ნაფიცი-ვექილი
ვ. ა. დემიდოვი
გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე, სახლი № 11. იღებს ყოველ დღე 6—7 საათ. საღამოთი. (3.195.1)

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 2 6)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ეპისკოპოს გერმოგენის სინოდიდან დათხოვნა და მონასტერში გაგზავნა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს რუსულ გაზეთებში. ყოველ ნომერში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი ამ შემთხვევას. სხვათა შორის, გაზეთი „უტრო როსსია“ სწერს:

> სარატოვის ეპისკოპოსი გერმოგენი მოიწვიეს სინოდის მორიგ სესიაში მონაწილეობის მისაღებად. ბიუროკრატიის წინააღმდეგი გულთადი მომხრე კანონების შეურყეველობისა, ეპისკოპოსი გერმოგენი, რომელიც სისტემატიურად ილაშქრებდა სტოლიპინის და მის მომხრების წინააღმდეგ და მუდამ იმარჯვებდა მათზე, მოულოდნელად მიწვეულ იქმნა საეკლესიო საქმეების წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. იგი მიიწვია კოკოვცევის კაბინეტის ახლად დანიშნულმა წევრმა საბლერმა.
>
> მაგრამ „ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის“ მომხრე საბლერი ისეთივე ბიუროკრატი აღმოჩნდა, როგორც მისი წინამორბედნი, და როდესაც სარატოვის ყოვლად სამღვდელომ სინოდში ეკლესიის უფლებათა შესახებ აღძრა საუბარი, როდესაც იგი ძველ საეკლესიო კანონებსა და სხვა ისეთ საგნებს შეეხო, რომელნიც კარგა ხანია სინოდს არ მოუსმენია, როდესაც გერმოგენმა თვისი მოქმედება მით დაამთავრა, რითაც იგი მას უნდა დაეწყო, ე. ი. ეკლესიის უფლებებისათვის ბრძოლა წვრილ პროვინციალურ მოწინააღმდეგეთაგან უფრო მაღალ ძლიერ სფერებში გადაიტანა, მაშინ პ. ა. სტოლიპინისა და მის მფარველობის ქვეშემყოფ ბიუროკრატიის ძველი მეტოქე ძლეულ იქმნა.

„რეჩში“ მოთავსებულია ეპ. გერმოგენთან საუბარი. ეპისკოპოსს დაახლოვებით შემდეგი უთქვამს: სინოდი ისე მომექცა, როგორც ტუსაღს; მიბრძანა, დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავი სარატოვში, მაგრამ როგორ შემეძლო ჩემს სამწყსოში მისვლა, როდესაც, ჩემის აზრით, ასე უდანაშაულოდ დამსაჯეს. დარწმუნებული ვარ, სინოდიც და ობერ-პროკურორი საბლერიც ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ეპისკოპოსი გერმოგენი თვის სმენას არასოდეს არ უღალატებს. ციმბირში, თუ მონასტერში **მე ეპისკოპოს გერმოგენად** დავრჩებიო.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

კაპუსტინი თავმჯდომარეობს: ხოლმშჩინის გამოყოფის თაობაზე მსჯელობას განაგრძობენ.

ქსენძმა მაციევიჩმა ოთხშაბათს დაწყებული სიტყვა დაათავა. ხოლმშჩინის მცხოვრებთ თავის ნებით მიიღეს კათოლიკობაო.

პეტროვი მე-3. შრომის ჯგუფელები წინააღმდეგნი არიან მთავრობის პროექტისა, რადგანაც იგი ორპირობისა და ორგულობის ნაყოფია.

მარუსევიჩი. მთავრობა ტყუილად სცდილობს დაგვიმტკიცოს, ვითომც იგი ხოლმშჩინელებისათვის ზრუნავდეს. თუ პროექტი დააკანონეს ეს სამართლისა კი არა ძალმომრეობის გამარჯვებას დაადასტურებსო. მაშინ შეიძლება ცნობილი თქმა ასე გადავასხვაფეროთ: „ვაი გამარჯვებულთ, სახელი და დიდება დამარცხებულებს“ (მემარცხენეთა ტაში).

გრაბსკი. მთავრობის კანონპროექტი უკან გვაბრუნებს. ეს ისეთი გზაა, რაიც რუსის ხალხსა და პოლონელებს ერთმანეთს გადაჰკიდებს (ტაში მემარცხენეებისა).

ალექსეევი. საჭიროა ხოლმსელებს დავეხმარნეთ. ისინი ჩვენგან მოელიან საკითხის გადაწყვეტას: სათათბირო ხოლმსელთა სიკვდილს და გაპოლონელებას გადასწყვეტს, თუ დაგვეხმარებაო. (მემარჯვენეთა ტაში).

მაკლაკოვს ეჭვი აღარა აქვს, რომ ხოლმშჩინაში მართლაც არსებობს პოლონიზაცია. მაგრამ კანონპროექტი სრულიად ვერა სპობს მას და სიყალბეზეა აშენებული. თქვენ ეუბნებით ხოლმსელებს, როცა შემოგიერთებთ, თქვენი თავის ბატონი შენვე იქნებიო, მერე, ეს მართალია? რატომ არ ჩააგონებთ, რომ ისინი ისეთივე ბატონები იქნებიან, რანაირი ბატონიც ტულისა და მოსკოვის გუბერნიის რუსის გლეხია? (მემარცხენეთა ტაში; მემარჯვენენი ხმაურობენ).

შეატყობინეთ თუ არა მომავალის ბატონს, რომ მისი ბატონი იქნება რუსეთის ადმინისტრაციის ყოველი მოხელე, რუსეთის მთავრობა ხელს შეუშლის ფულის მოგროვებას, როდესაც შიმშილი ეწვევათ? (მემარცხენეთა ხანგრძლივი ტაში). კანონპროექტის ბოროტება სწორედ ისაა. რომ იგი სიცრუეზეა დამყარებული, პროექტი სიმბოლოა მთავრობის სულმოკლეობისა და სიძაბუნისა და შეიძლება სათათბიროს წევრთა უვარგისობისაც, რადგან ისინი ფრაზებს ანდომებენ დროს და განუხორციელებელ რასმე ჰპირდებიან ხალხს (ხანგრძლივი ტაში მემარცხენეთა).

ეპისკოპოსი ევლოღი ხოლმშჩინის გამოყოფის მოწინააღმდეგეებს უპასუხებს. ჩვენ პოლონელებისათვის ბოროტი არა გვსურს, მშვიდობიანობა გვინდა, მაგრამ ვერც ყმებად დავდგებით. მაშ, უშველეთ ხოლმსელებს. (ტაში მემარჯვენეთა).

დიმშა პროექტის დამცველთ უპასუხებს. მთავრობის კანონ-პროექტის მიღება იმ პრინციპებს ავნებს, რაც სარჩულად უძევს სათათბიროს არსებობას. იგი ვნებას მოუტანს მთლად რუსეთში მცხოვრებ პოლონელებს. ეხლა თქვენ გერმანელებს გვაგონებთ, ყოველნაირად სცდილობთ პოლონელების დაჩაგვრას, გინდათ აღმოსავლეთიდან მოგვაწყვეთ, იმ ადგილებიდან აგვყაროთ, რაზედაც დიდი ხანია ვცხოვრებთ, უფლებაცა გვაქვს ამისა და ვიცხოვრებთ კიდეც (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

მოლაპარაკე არავინ არის.

მომხსენებელი ჩიხაჩევი სათათბიროს წინადადებას აძლევს მუხლობრივ განხილვას შეუდგეს.

კენჭის ყრის გამო ილაპარაკა რამდენიმე დეპუტატმა, სხვათა შორის, **ფონ-ანრეპმა.** მან აღნიშნა: პროექტი უშინაარსო ფორმააო. იმის გაკეთება, რაც შიგ არის მოხსენებული, ხოლმსის გამოუყოფლადაც შეიძლება. კანონ-პროექტს ვნების მოტანა კი შეუძლიან, რადგან პოლონელებს იმედს უღვიძებს, ავტონომიისა, დამოუკიდებელ ეროვნისა, დედა-ენის და სკოლის თავისუფლების მოპოვებისას, ამას კი სათათბირო ვერ აუსრულებსო.

მუხლობრივ განხილვის მომხრეა 154, წინააღმდეგი 107 (ნაციონალისტები ტაშს უკრავენ).

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ** ამ დღეებში უწ. სინოდის ბრძანება მიიღო, რომელიც საქართველოს საექსარხოსოში **მღვდელთა საარჩევნო წესის გაუქმებას** შეეხება. ბრძანებაში ვრცლად ჩამოთვლილია ის შემდეგი მოტივები, რომელიც სარჩულად დასდებია არჩევნების გაუქმებას. მღვდლებს მრევლი 1907 წლიდან ირჩევდა; ამის ნება სინოდმა განსვენებულ ექსარხოსის შუამდგომლობის თანახმად დართო. ორი წლის შემდეგ საქართველოს ექსარხოსის დროებით მოადგილემ ეპისკოპოსმა გრიგოლმა შუამდგომლობა აღძრა სინოდის წინაშე საარჩევნო წესების გაუქმების შესახებ, რადგანაც არჩევნებს ეკლესიისათვის ვნების მეტი არა მოაქვს რაო; რამდენიმე კანდიდატის არჩევნების დროს მრევლის მშვიდობიანი ცხოვრება ირღვევა, მცხოვრებნი პარტიებად იყოფიან, ზოგიერთი კანდიდატი კი არავითარ საშუალებას არ ზოგავს, როგორც, მაგალითად, მოსყიდვას პირობის დადებას, სამღვდელო წესების აღსრულებაში ფულს არ ავიღებო და სხვა; ამას გარდა არჩევნებით უკიდურეს პარტიათა წარმომადგენელნი სარგებლობენ, რომელნიც მრევლს ურჩევენ უკიდურეს აზრიანების კანდიდატთა არჩევასაო. ამასავე ეპისკოპოსმა გრიგოლმა სინოდს გურია-სამეგრელოსი და სოხუმის სამღვდელოების კრების 26 ოქტ. წარუდგინა, რომლითაც სამღვდელოება ერთხმად თხოულობდა საარჩევნო წესების გაუქმებას. 1909 წლის 10 ოქტომბერს სინოდმა შუამდგომლობა განიხილა და საქმის ეს თუ ისე გადაწყვეტა ახალ ექსარხოსის დანიშვნამდე გადასდო. ორის წლის გამოცდილებამ საქართველოს ექსარხოსი ინოკენტიც დარწმუნა არჩევნებითის წესის მავნებლობაში. ამ აზრს ემხრობიან იმერეთის, გურია-სამეგრელოსი და სოხუმის ეპისკოპოსები. ამის გამო სინოდმა გააუქმა საარჩევნო წესები და დაადგინა, ძველი წესი კვლავ აღდგენილ იქმნეს, ე. ი. მღვდლები მრევლში ეპისკოპოსებმა დანიშნონ.

◆ **„ტფილისის აკრებულოს“** 1911 წელს 50,062 მან 92 კაპ. ნაღდი მოგება დარჩენი. მთელი შემოსავალი 128,914 მან 11 კაპ. ჰქონია.

◆ დეპეშათა სააგენტოს ცნობით, **ს. ურიათუბანში ყაჩაღები** თავს დაესხნიან სტრაჟნიკის სადგომს, მოუკლავთ ერთი ადგილობრივი მცხოვრები და ერთი სტრაჟნიკი, რომელმაც დეკემბერში ყაჩაღი კასპაძე (კასრაძე?) მოკლა.

◆ **ტფილისის უნივერსიტეტი**, კავკასიის ნამესტნიკმა პრემიერ-მინისტრს კოკოვცევს ვრცელი დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებს: კავკასიის ყველა ქალაქი ტფილისის უნივერსიტეტს უჭერს მხარს და „ნოვოე ვრემია“-ს ცნობა, ვითომც ზოგიერთი ქალაქი როსტოვს აძლევდეს უპირატესობას, სიმართლეს მოკლებულიაო.

◆ ტფ. საგუბერნიო სამმართველომ ნება დართო სიღნაღის მაზრას სოფ. სვეჩინში კვირაობით **ბაზარი** გაიმართოს.

◆ **წვრილ კრედიტის საქმეთა ტფ. საგუბერნიო კომიტეტმა** ნება დართო წვრილ კრედიტის ამხანაგობანი დაარსდეს 1) შულავერსა, 2) სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგასა და 3) თელავის მაზრის სოფელ შაშიანში. პირველ ამხანაგობას ძირითად თანხად სამასი თუმანი, ხოლო მეორე და მესამეს ორას-ორასი თუმანი მიეცემა.

◆ **არქიმანდრიტი ანტონი (გიორგაძე) ეპისკოპოსად აკურთხეს** პეტერბურგში, ინგლისელ სტუმრების თანადასწრებით. როგორც ვწერდით, იგი გორის ეპისკოპოსად დაინიშნა. პირველად მან ტფილისის სასულიერო სემინარია გაათავა, შემდეგ 12 წელიწად ქუთაისის საქალებო გიმნაზიის სამღვთო სჯულის მასწავლებლად იყო. აქედან პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში შევიდა, სადაც მესამე კურსზე ბერმონაზონობა მიიღო. აკადემიის გათავების შემდეგ ვიატკის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად იქმნა დანიშნული, საიდანაც რამდენისამე წლის სამსახურის შემდეგ ამავე თანამდებობაზე გადაიყვანეს სმოლენსკის სასულიერო აკადემიაში. არქიმანდრიტის ხარისხის მიღების შემდეგ იგი საქართველოში გადმოიყვანეს, იოანნე ნათლის მცემლის მონასტრის წინამძღვრად და საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების ბლაღოჩინად. უკანასკნელ ხანს დარიის მონასტრის წინამძღვრად იყო.

◆ **სახალხო სკოლების დირექციამ** გორის მაზრის სოფელ ტბეთში ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა დაარსა. შუამდგომლობა აღძრა ასეთისავე სკოლის დაარსებაზე სოფ. ფრინევში (გორის მაზრა).

◆ **შეწირულება.** განსვენებულ ა. ი. მანთაშევის მემკვიდრეებმა შესწირეს: ასი თუმანი ქართულ სამეურნეო საზოგადოებასა და რვა ასი თუმანი სომხურ სამეურნეო საზოგადოებას.

◆ **ჯამაგირების მომატება.** უწ. სინოდს გადაუწყვეტია, ჯამაგირები მოუმატოს დედათა საეპარქიო სასწავლებელთან არსებულ სამაგალითო სკოლების მასწავლებელთ. თვითეულ სკოლაზე 500 მანეთია გადადებული, რომელიც თვით სასწავლებლის გამგეობამ უნდა გაანაწილოს. მასწავლებელს უნდა მიეცეს არა მეტი 360 მანეთისა, სამღვთო სჯულის მასწავლებელს არა უმეტეს 60 მან., ხოლო დანარჩენი სხვა საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

◆ **უწ. სინოდის ობერ-პროკურორმა** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას აცნობა: ამ ჟამად სასულიერო წოდებაში ძალიან გავრცელდა იმ პირთა იუბილეის გამართვა, რომელთაც ძირითად კანონების ძალით ეს არ დაუმსახურნიათო; ასეთი ხშირი და ძირითად კანონების შეუფერებელი იუბილეები იუბილიარის ხელქვეითებს ზნეობრივად რყვნის, ხარჯში აგდებს და ხშირად ხელის მოწერის გამართვასაც აიძულებს ხოლმე სახსოვრის მისართმევადაო; ამიტომ ობერ-პროკურორი კანტორას წინადადებას აძლევს, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

◆ **პანაშვიდი.** გუშინ ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სპარსეთში მოკლულ ოფიცრის ვახვახიშვილის სულის მოსახსენებლად.

◆ **ცეცხლის-მქრობელთა საერთაშორისო კონგრესი.** ამ წლის 12 მაისიდან პეტერბურგში ცეცხლის მქრობელთა მე-4 საერთაშორისო კონგრესის სხდომები დაიწყება. კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისელები, გერმანელები, ოსმალონი და იაპონელნი. საფრანგეთიდან მოელიან ცნობილ ინჟინერს კოხს. კონგრესი 15 მაისამდის გაგრძელდება. საწევრო გადასახადი კონგრესში მონაწილეობისა ხუთი მანეთია.

◆ **სოოჯახო სიების** შესასწორებლად 24 იანვარს ქალაქის გამგეობისა და საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს წარმომადგენელთა შე-

მსახიობი

ულრმესის, წრფელის პატივისცემით ვუძღვნი ამ სტრიქონებს ***იუბილიარს მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას,*** *რადგან ნაყოფი ჭეშმარიტად მას ეკუთვნის, ვისზედაც ფიქრმა გრძნობა-გონებაში მკრთალად ჩასახული ნათლად გამოარკვია.*

I

ქუჩებზე განსაკუთრებით დადგმულ მომსხო სვეტებს საჩქაროდ აკრავდნენ წითელსა და თეთრს განცხადებებს. მოხუცებულნი ან საშუალო ხნის გამვლელნი თვალს გადაავლებდნენ თუ არა განცხადებას, წამოიძახებდნენ: „ის მოდის!“ „ის ჩამოდის!“ მაშინვე შებრუნდებოდნენ და თეატრის კასისაკენ მიეჩქარებოდნენ, მერე ბილეთს ვეღარ ვიშოვნითო; ყმაწვილები კი უკმაყოფილოდ იმეორებდნენ: „კიდევ ძველი პიესა—გაწირილა გული ამ ნოეს კიდობნის რეპერტუარმა“.

⁂

— ვინაა ახლად მოვლენილი მსახიობი, რომელსაც ასე ქებით იხსენიებს გაზეთი? —იკითხა თორმეტი წლის გიმნაზიელმა ქალმა, რომელიც გაზეთს ათვალიერებდა.

სუფრას მოსხდომოდა მთელი ოჯახი და სტუმრები: სუსტი, წყნარი სტუდენტი; იგი ზანტად ლაპარაკობდა, უგემურად სვამდა ჩაის, და მთელს სხეულზე დაღლილობა ეტყობოდა. მეორე სტუმარი მხოლოდ იმით იყო შესანიშნავი, რომ მას ელაპარაკებოდნენ, თუ იგი ელაპარაკებოდა ვისმე, თავი ოდნავ დახრილი ჰქონდა და თვალებში კი არავის უხედავდა, არც არავის ჩაახედებდა მის წვრილ, მიმალულ თვალებში. ბებია სასადილო ოთახში, სუფრის წინაც არ სტოვებდა შალის წინდის ქსოვას; ოჯახის დიასახლისი ართობდა სტუმრებს; უფროსი ქალიშვილი სამოვართან ფუსფუსებდა. პატარა გიმნაზიელი ქალი დედის გვერდში იჯდა და ყოველ ღირს-შესანიშნავ სიტყვის, აზრის წარმოთქმის დროს შავ, დიდრონ თვალებს ისე ჩააჩერებდა მთქმელს, თითქოს ჰსურდა გაეგო ნათქვამის იქით რა იმალებაო.

—ის ერთი უძვირფასესი თვალთაგანია ჩვენის სცენისა—მიუგო მამამ.—ამ ოცის წლის წინად რომ გენახა, მაშინ კი მიხვდებოდი, თუ რა შეუძლიან ნიჭს ხელოვნებისადმი სამსახურისათვის თავ-გადადებულს. მაშინ, როცა არც პიესები იყო ხეირიანი, არც დეკორაცია, არ ჰყავდათ არც მომზადებული რეჟისორი და არც გაწვრთნილი მეორე-ხარისხოვანი ამხანაგები, ეს ქალი და კიდევ ორი-სამი გამოუთქმელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მაყურებელზე. ყოველი მისი სიტყვა ისეთ ხაზად გაესობოდა გულს, რომ საუკუნოდ რჩებოდა. ხომ იცი:

„რაც ერთხელ გულსა ღრმად დაჩნდების
საშვილიშვილოდ გადაიცემის“.

— მასზე მეც არაფერი გამიგონია— ჩაურია სიტყვა ქალმა.

— იგი ეს ოცი წელია ძვირად გამოდის სცენაზე, მაგრამ წინად! წინათ!

— სწორედ ეს არის მსახიობის უბედურება: სცენას როგორც კი დაშორდება, იკარგება, კვალს არ სტოვებს.—დაუმატა დიასახლისმა.

— სცდები! მსახიობი სტოვებს ცხოვრებაში ბევრათ უფრო დიდ კვალს, ვიდრე მექანდაკე, კანონმდებელი, მწერალი.

— როგორ, მამა?

— ადვილი გასაგებია! მსახიობი ათასჯერ უფრო ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე სხვა ხელოვნების ქურუმი. მართალია, მის ზედგავლენას რიცხვით ნაკლები განიცდის, ვიდრე მოქანდაკისას, მწერლისას, მაგრამ რა სჯობიან, ათასს ეუბნებოდე და შენი გრძნობა-აზრის მეათასედიც ვერ გადასცე, თუ ათს სავსებით აგრძნობინე, რაც კი გსურს. ამიტომაც ნამდვილი მსახიობი ბევრათ მეტი ღირებულების პიროვნებაა, ვიდრე პოეტი, კომპოზიტორი, დრამატურგი, სკულპტორი და სხვა. რა თქმა უნდა, მე იმაზე ვლაპარაკობ, ვინც „სახავს“ მართლაც ადამიანს მთელის მისის სულის კვეთებით, ტანჯვით, მხიარულებით, მაღალის გრძნობებით და დაბალი სურვილებით, მიხვრა-მოხვრით, ხმით. განცვიფრებაში ვარ, რომ დიდებულ მსახიობთ ცხოვრებას ისეთივე ყურადღებით, დაწვრილებით არ სწავლობენ, როგორც დიდებულ სარდალთა, პოეტთა და კომპოზიტორთა. სარა ბერნარი გამეტაზე ნაკლებათ არ ჩაითვლება, მაჩალოვი პუშკინს არ ჩამოუვარდება და კაინცი-მოცარტს.

— შენ აჭარბებ ჩვეულებისამებრ, როცა სიტყვა თეატრს შეეხება.— თითქმის ღიმილით უპასუხა ცოლმა.

— შეიძლება! შეიძლება! მაგრამ საბუთიცა მაქვს. საკმაოთ დამამტკიცებელი საბუთი.

— წმინდა წყლის ხელოვანი ხარ, მამა წაეხმარა დედას უფროსი ქალიშვილია

— დიახ! თქვენ საბუთიც იცით, თუ რატომ.

— ჩვენც გვიამბეთ. ეს ძლიერ საინტერესოა.—სთქვა სტუდენტმა.

— კიდევაც გიამბობთ! რატომ არა?! დიახ, დიახ. დღემდე არ გამიმჟღავნებია... არც ეხლა გეტყოდით—ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ დაიწყო მასპინძელმა—რომ დაახლოვებით მაინც შეგეძლოთ მიხვდეთ, თუ ვისზე ვლაპარაკობ. დღეს, როცა მსახიობი ქალი ჩამოსვლას აპირებს, მინდა გითხრათ, რომ თქვენც შეუერთდეთ ჩემს სიყვარულს, აღტაცებას, სიხარულს. ვინ იცის, იქნებ შემდეგ მეტის პატივისცემით მოეპყრათ მსახიობს.

მოხუცი ხელახლავ შეჩერდა.

II

— თეატრს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი, როგორც გასართობს და სასიამოვნო ადგილს, როგორც ესტეტიურით დამატკბობელს ადგილს, მაგრამ ერთის შემთხვევის შემდეგ ძლიერ შემიყვარდა იგი.

ახალგაზრდობაში ერთი უგულითადესი ამხანაგი მყავდა. ერთად ვცხოვრობდით. არაფერს ვუმალავდით ერთმანეთს. მე ყოველთვის თავდაჭერილი ვიყავი, ის კი ფარვანასავით ევლებოდა ქალებს. მათში ჰპოებდა განცხრომას, წუთიერ ნეტარებას და სრულიად არ უკვირდებოდა იმ შედეგს, რომელიც ხშირად გაჰყვება ხოლმე სიტკბოებას. სხვათა შორის ერთს ქალს დაუახლოვდა. ქალი ძლიერ ყმაწვილი იყო, ლამაზი, გონიერი. ჩვეულებრივ მოწონებაზე მეტი იყო მათ შორის, მაგრამ რასაც სიყვარულს ეძახიან ის არ ყოფილა. სიამოვნებდა მასთან, დროს გატარება, სეირნობა, ოდნავი არშიყობა, მაგრამ ჯვარის დაწერას ან რასმე სხვას არ ფიქრობდა—ჩემი ამხანაგი ჯერ არ იყო მთლად ხელიდან წასული და ქალის გაუბედურება ენანებოდა. რაც დრო გადიოდა, ისინი უფრო და უფრო ხდებოდნენ ერთი მეორის ცხოვრების ნაწილად. ვაჟი თავს არ იკავებდა—საითაც მიჰყავდა გარემოებას იქითკენ მიდიოდა უდარდელად.

ერთ დღეს, შეიძლება გაზაფხულის საერთო აღელვებამ, აჩქოლებამ, შეიძლება ორმა-სამმა ჭიქა ღვინომ, მხიარულმა დროს გატარებამ პიკნიკზე ქალ-ვაჟს უკანასკნელი ნაბიჯი გადაადგმევინა. ვაჟი იმ წამს გონს მოვიდა. მიხვდა, რომ საზღვარი გადალახული იყო და ეძებდა საქმის გამოკეთების საშუალებას. როგორ? რა ნაირად? ჯვარი დაეწერა? რა საშუალებით, რა იმედით? არა თუ არაფერი ჰქონდა, სრულიად არაფერი. ახლო მომავალშიაც არ ელოდა მუდმივ ლუკმა-პურს. ორივე ჯანსაღი იყო, ორივე კარგ ცხოვრებას იყო დაჩვეული. პირადი მოთხოვნილება- თა დაკმაყოფილება გაუმწარებდა მათ დღეს; ბავშვების აღზრდა კი ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა.

შეეწყვიტა ყოველივე დამოკიდებულება? რაღაც უხერხულობას ჰგრძნობდა. გადასწყვიტა ნელ-ნელა ჩამოშორებოდა, მიეცა ქალისთვის საშუალება უკეთესი ბედის ძებნისა. ათასს შეხვედრია ასე ცხოვრებაში,—ანუგეშებდა იგი თავს. ქალი მაშინვე მიხვდა თუ იგრძნო განზრახვა და თხელმა სევდამ გადაჰკრა სახეს. არაფერია, მალე გაუვლის, თვით დამიმადლებს—ჰფიქრობდა ჩემი მეგობარი და არჩეულ გზას არ შორდებოდა.

ერთ თვეში სრულიად დაშორდნენ ერთმანეთს. კვირაზე მეტი იყო შალვა ასე ეძახდნენ ჩემს მეგობარს--ქალს არსად შეხვედროდა. დამშვიდდა, სინიდისის ქენჯნა აღარ აწუხებდა.

ერთხელ მე და შალვა თეატრში ვიყავით. პიესა არ მოგვეწონა. მისი შინაარსი გათელილს რასმე წარმოადგენდა: ქალს შეაცდენს ვაჟი; ქალი სწუხს, მერე მოლიპულ გზას დაადგება, და სადღაც რესტორანში დაიჭერენ, როცა აპირებს ერთ მოქეიფეთაგანს ჯიბიდან ქისა ამოაცალოს.

ამ ქალის როლს თამაშობდა ის მსახიობი, რომელიც ეხლა ჩამოდის.

პიესის დაწყებისას სცენაზე იგი არ სჩანდა.

უნებლიეთ ვაქცევდით ყურადღებას დახეულ დივანს, გახუნებულ ფარდებს, ხის სკამებს, რომელნიც არ შეეფერებოდნენ პიერს. აი რა მიამბო შემდეგ შალვამ: უმთავრესი მომქმედი პირი (თექვსმეტი წლის ქალი) მზეთ მოევლინა სცენას. გამხიარულდა ყოველივე. ასე გეგონებოდა ყოველი კედლიდან მისი ტკბილი ხმა, მომცინარე სახე, მომხიბლავი მიხვრა-მოხვრა გამოსჭვივისო.

იყო ქუხილი ტაშის კვრის. თვით მოქმედებას აღარ ვაქცევდი ყურადღებას ისე ვიყავი მოხიბლული, ისე წამილო საერთო გუნებამ.

ერთებული კრება მოხდება. საოჯახო სიების შესწორებას კავშირი აქვს მიმდინარე წელს ჯარში გასაწვევთა სიების შედგენასთან.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას** განზრახვა აქვს, მუდმივი ნიხრი დააწესოს პურზე. კრება 24 იანვარს იქნება.

✦ 31 იანვარს **სახაზინო თეატრში** საუკეთესო მომღერალთა და **ე. მ. თარხნიშვილის** მონაწილეობით დაიდგმება ოპერა ბოგემა, **ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ.** შუამდგომლობა აღძრულია.

✦ 20 იანვარს თავის მოკვლის განზრახვით საწამლავი დალია სეკლეტინა ივანეს ასულმა ლიაშკოვმა, რომელიც მიხეილის სავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 20 იანვარს მუშტაიდის ბაღში იპოვეს პეტრე ჟუკოვის გვამი, ჟუკოვი ლოთი იყო და ბინა ქალაქის თავშესაფარში ჰქონდა.

✦ 20 იანვარს ტფილისში 36 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება 20 იანვარს მოხდა. ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. საბჭომ დაადგინა, ცხვრისა და ძროხის ხორცს გირვანქაზე ერთი კაპეიკი მოუმატოს, თანახმად ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის მოხსენებისა. ამასთანავე საბჭომ სამეურნეო კომისიას დაავალა, შეიმუშაოს პროექტი იმისა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ხორცის ვაჭრობის საქმე. თხოვნა რ. ჯანიბეგოვისა, რომელიც ქალაქისაგან 2,000 მან. ზარალის ანაზღაურებას თხოულობდა, საბჭომ საიურიდიო კომისიას გადასცა თავის აზრის დასასკვნელად. საბჭომ ამის შემდეგ დაადგინა, სამს წელიწადს დააცადოს საიჯარო ფულის გადახდა მ. ვ. კალვეიტს, რომლისგანაც ქალაქს 1,300 მან. ერგება. დასასრულ არჩევნები მოხდა ქალაქის თავშესაფარისა და ღარიბთა სახლის გამგე კომისიაში არჩეულ იქმნა ცხრა კაცი, სატყეო—საბალოსნო კომისიაში—ამდენივე, შეფასების ფურცლების შემმოწმებელ კომისიაში—ორი და ქალაქის ლომბარდისა, გამსესხებელ კასისა და სააუქციონო დარბაზის სარევიზიო კომისიაში—ოთხი.

ქუთაისი.

✦ ქუთაისში დაარსდა ქალთა წრე, რომელსაც მიზნად დაუსახავს ქართულ მწერლობის შესწავლა, ამ წრეში ჯერჯერობით წაუკითხავთ თავიანთი ნაწერები დ. კლდიაშვილს, ევგ. გეგეჭკორს, ვას. წერეთელსა და ჯ. ჯორჯიკიას.

✦ მღვდ. სიმონ ქედლიძეს განუზრახავს გამოსცეს თავის ძმის, ნიჭიერი კრიტიკოსის ბოსლეველის ნაწერები.

✦ მას შემდეგ რაც ხმა გავრცელდა, რომ ეგრედწოდებული „მკურნალის გიმნაზია“ ქალაქის ხელში უნდა გადავიდესო, ამსასწავლებელს ბევრი ბავშვი აწყდება.

პროვინცია

✦ **სოფ. მარეთი** (ჯორის მაზრა). წელს აქ დაარსდა სამინისტრო სკოლა. ჩამოვიდა ამ სკოლის მასწავლებლად დანიშნული ქეთო ხახუტაშვილი. 11 იანვარს სკოლის დარბაზში. ადგილობრივ საზოგადოების თანადასწრებით პარაკლისი გადაიხადეს. მღ. გიორგი ედილაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა ხალხი ნასიამოვნებია სკოლის დაარსებით.

კავკავი.

✦ როგორც ვიცით, ბ-ნმა ფაივიშევიჩმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, ნება დართოს, რომ **ტფილის-კავკავ შუა ორთქლმავალ ვაგონებით ბარგი გადაზიდგადმოზიდოს.** ამავე დროს კავკავის თვითმმართველობასაც მიჰმართა. თვითონ ქალაქშიაც ამ საქმის მოწყობის ნებართვისათვის. კავკავის ქალაქის ინჟენერის აზრით ეს ვაგონები ქუჩებს არ გააფუჭებს, რადგანაც განიერი თვლები ექნება, ხოლო იჯარით უნდა მიიცეს საცდელად მხოლოდ ერთის წლის ვადით.

თელავი.

✦ 18 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ყაჩაღთა ბრბომ ურიათ-უბნის სასოფლო სამმართველოს სროლა აუტეხა. მოკვდა ერთი „სტრაჟნიკი“ და დაიჭრა ერთი სასოფლო ყარაული.

სიღნაღი.

✦ **მკვლელი** ლევან ზვერიაშვილისა სოფელ მუკუზანში დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. იგი ირქმევს ნიკოლოზ ტარიელის ძე ლორთქიფანიძეს.

დონის-როსტოვი.

✦ 11 იანვარს საღამოს ესე ექვს საათზე ორი შეიარაღებული მძარცველი **თავს დაეცა** თავის ღვინის სარდაფში ღვინით მოვაჭრე **ლალაშვილს.** ერთი მძარცველთაგანი ეცა ბიქს, მეორემ კი კარებიდან რევოლვერი მიუშვირა ლალაშვილს. ლალაშვილი არ დაიბნა, სტაცა კეტს ხელი და მისცხო მკლავში. მძარცველს რევოლვერი ხელიდან გავარდა, მაგრამ. ეტყობა, ხელზე ჰქონდა შებმული, ძირს არ დავარდა. მეორემ ეს რომ დაინახა, მოძურწა. რევოლვერით შეიარაღებულს ლალაშვილმა ერთი ორი კეტი კიდევ უთავაზა და ქუჩაშიც კეტითვე გამოუდგა. მძარცველებმა შესაშინებლად ორჯელ გაისროლეს რევოლვერი. ერთ დამცემთაგანს სარდაფში დარჩა ქუდი (შლიაპა). ქუდს შიგნიდან რუსული ასოებით აწერია „ასო“. დამცემნი ქართულადა ლაპარაკობდნენ. ვერც ერთი მათგანი ვერ შეიპყრეს.

✦ ეს ერთი კვირაა გაზაფხულისებური **თბილი დღეები დაიჭირა.** ხშირ-ხშირად მოდის წვიმა. შუადღისას სითბო ექვს გრადუსამდე ადის რეომიურით. ფრიად დიდი განსხვავებაა შარშანდელ ზამთართან შედარებით. მაგრამ ნათქვამია—„მარტი რომ წინ გედოს ზამთარს ნურც აქებ, ნურც აძაგებო“. ჩვენც ხომ მარტი წინა გვაქვს.

✦ ამ ორ-სამ კვირაში მოგვემატა 40-მდე ქართველი გადმოსახლებული.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

პრემია **„გრდემლი“** დაურიგდება წლიურ ხელის მომწერთ 29, 30 და 31 იანვარს.

ტფილისში მცხოვრები წ. ხელ. მომწ. „გრდემლს“ მიიღებს გაზეთის დამტარებლის ხელით.

წ. ხელის მომწერნი, რომელნიც სცხოვრობენ: ქუთაისში, ბათომში, სოხუმში, ფოთში, გორში და თელავში—**„გრდემლს“** მიიღებენ ჩვენის აგენტებისაგან, რომელთა ვინაობაც პრემიის დარიგების დროს გამოცხადდება.

დანარჩენნი წლ. ხელ. მომწერნი პრემია „გრდემლს“ მიიღებენ ფოსტით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წარმოდგენილი იქნება არა უგვიანეს 29 იანვრისა (შეიძლება მარკებითაც).

შენიშვნა: წლიურ ხელის მომწერად ითვლება ის ვისაც წარმოდგენილი აქვს არა ნაკლებ 3 მან. და განცხადებული აქვს რომ გაზეთს წლიურად იწერს. დანარჩენი წლიური ფასი უნდა გადახდილ იქმნას იმ ვადებზე, როგორც გამოცხადებული იყო.

თვიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

რადგანაც ბევრი თვიური ხელის მომწერი აცხადებს სურვილს წლიურ ხელის მოწერისას, მათ საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ საჭიროა შემოტანილი ფული შევსებული იყოს 3 მანეთამდე მაინც და განცხადებულიც, რომ სურს წლიურ ხელის მომწერად გახდეს; დანარჩენი წლიური ფასი უნდა გადახდილ იქმნას იმ ვადებზე როგორიც გამოცხადებული გვქონდა.

(2 2) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.**

პროვინცია

✦ **საჩხერში** არაჩვეულებრივი ამბავი მომხდარა: ბაზართან ახლო მდებარე საძოვ მინდორზე მწყემსი ბავშვები ცხვრებს აძოვებდნენ. ცხვრები ერთ ადგილას შეჯგუფულან და გაფაციცებით, თურმე, რაღაცას ლოკდნენ. მწყემსი ბავშვები მისულან, რომ გაეგოთ, თუ რა ამბავი იყო. დახედვა და ბავშვების წივილ კივილით ბაზარში გაქცევა ერთი ყოფილა,—„არიქა კაცი მოუკლავთო“ დაუწყვიათ ყვირილი. შეგროვილა ხალხი, მოსულა პოლიცია და აღმოუჩენიათ მიწაში ჩაფლული ადამიანის გვამი, რომელსაც ფეხები ზევით დარჩენია. ამოუღიათ, მაგრამ ვერ უცვნიათ. იგი რამდენიმე თვის მკვდარი მაინც უნდა იყოს.

შეცდომის გასწორება. გუშინდელს ნომერში ერთს წერილს შეცდომით ეწერა სათაურად **ნინაობა, უნდა იყოს ნინოობა.**

დეპეშა

პეტერბურგი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ილიოდორეს, რომელიც სადღაც მიიმალა, ეძებენ. მაგრამ ჯერაც ვერ უპოვიათ. ცარიცინში დაარსებული ილიოდორეს მომხრეთა ძმობა იმუქრება, თუ უწმინდესმა სინოდმა ილიოდორე თავის ადგილას არ დასტოვა, ყველანი გრიგორიანთა (სომეხთა) რჯულს მივიღებთ და სომხის პატრიარქსა ვთხოვთ დახმარებასა და მფარველობასაო.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილეის გამო

მისალმება

ჩვენს სასიქადულო, ყოვლად ნიჭიერს, მოჭირნახულე და ღვაწლ-მოსილ ადამიანს, ქართულ სცენის გაზაფხულის მერცხალს, დიდებულს მსახიობს, **ქ-ნს მარიამ საფაროვ-აბაშიძისას.**

დღეს ქართველი ხალხი ცდილობს გადაგიხადოს საჯაროდ მადლობა იმ დიდებულ, უანგარო და უთვალავ ღვაწლისათვის, რაც შენ პირადად, თუ შენსავით ღირსეულ ამხანაგებთან ერთად გაგიწევიათ ქართულ თეატრის საძირკვლის ჩაყრის დროს, მის მტკიცე კედლების ამოყვანისთვის და ხელოვნების მშვენიერ ტაძრის სასურველად შემკობისთვის.

ამ შენთვის დიდებულ დღეს მეც ნება მიბოძეთ, ჩემი გულის ნადები მოგახსენოთ.

უკვე ცნობილია, რომ ოქროს საუკუნის დამხობის შემდეგ მეთვრამეტე საუკუნე იყო საქართველოს საზოგადოდ კულტურულ აღორძინების ხანა; მაშინ ფართოდ დაიწყო გაშლა ქართველის სულიერმა ძალამ როგორც მწერლობაში, აგრეთვე სწავლა-განათლებაში და სხვა დარგებში. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულშივე ირაკლი მეფის დროს—ქართველობამ განვითარების გზაზე ერთი ნაბიჯი კიდევ წინ გადადგა—და დაიწყო წარმოდგენების მართვა, რასაც ბრწყინვალე მომავალი ელოდდა... მაგრამ, დროთა ტრიალმა, აღამაჰმადხანის შემოსევამ და ტფილისის აოხრებამ და მერე საქართველოს მართვა-გამგეობის ძირიანად შეცვლამ და ქართულ ეროვნულ სულიერ ძალთა დაქსაქსვამ იმდენად ძლიერად დაჰკრა ლახტი უკუდგომისა და შეფერხებისა ამ ახლად ფეხადგმულ საქმეს, ნორჩს ყვავილს ქართველთ განვითარებისას, რომ დიდს ხანს, ძალიან დიდს ხანს, ქართველობამ ველარ მოიკრიფა გონი, ველარ მოიკრიფა ძალი და ღონე მის გასაგრძელებლად, გასავითარებლად და დასამკვიდრებლად. იმდენად მძაფრი და მკვეთრი იყო ეს ცვლილება,—იმდენად ღრმად შეარყია ამ ახალმა ცხოვრებამ ქართველი ხალხის გული, რომ თითქმის მთელი ოთხმოცი წელიწადი ველარ ეპოვნა თავის კულტურულ ცხოვრებისთვის კალაპოტი, ვერ მიეგნო ნამდვილ ეროვნულ სულისწრაფისთვის—და ვით გზა დაბნეული ცხვარი ტრიალს მინდორზე, უგზო უკვლოდ დაეცეცებოდა.

თვით მთავრობის დახმარებამაც კი გიორგი ერისთავისა და ანტონოვის თაოსნობით ვერ შეაყენა ჩვენი დრამატიული ხელოვნება-სცენა იმ კვალზე, რომლითაც მას უნდა ევლო შემდეგ, ვერ შედგა იმ გზაზე, ვერ მიეწება ჩვენს ცხოვრებას, თუმცა, რასაკვირველია, სრულებით უმნიშვნელოდ მაინც არ ჩაუვლია. რატომ? იმიტომ რომ ეს იყო ნაძალადევი, ზემოდამ მოცემული: ეს იყო არა ქართულ ეროვნულ ძალთა გამონაცემი ნაყოფი, არამედ მოტანილი—ხალხის გულში ნიადაგ მოუმზადებლად. თეატრს არ ჰყვანდა თავგანწირულნი ქურუმნი, მას არ ჰყვანდა მოტრფიალე გატაცებული მაყურებელნი...

გადიოდა დრო. ქართული ეროვნული სულიერი ძალები გონს მოდიოდნენ, ფხიზლდებოდნენ, თითქოს ბავშვივით ფეხს იდგამდნენ...

და აი—მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში შეწყვეტილი ბუნებრივი განვითარება ამ ძალებისა, ნელ-ნელა პოულობს სწორე გზას, ნამდვილს დანიშნულებას მიაგნებს... ეს დანიშნულებაა—თავის ერისავე სამსახური, თავის ხალხის განვითარება კულტურულად.

მართლაც, ჩვენს ცხოვრებაში ვხედავთ, რომ სხვა და სხვა კულტურულ - განმანათლებელი დაწესებულება არსდება, ფეხს იკიდებს, ვითარდება.

აი, ამათ შორის იწყებს მოქმედებას ქართული სასცენო ხელოვნება, — მაგრამ შემთხვევით კი არა, არამედ საფუძვლიანად, მტკიცედ... და, როგორსაც დღეს ვხედავთ, კიდეც მიაღწია მიზანს.

მერე რა მიზეზით?

იმ მიზეზით, რომ ქართულმა ეროვნულმა სულმა წარმოშობა ამ დარგის თავდადებულნი მუშაკნი, რომელთაც, სასცენო ხელოვნებით გატაცებულებმა ყოველსავე დაბრკოლებას სძლიეს, შეუპოვარი გამბედაობა გამოიჩინეს, შრომას და ტანჯვას არ შეუშინდნენ და—საქმეც შედგა იმ კვალზე, რომლითაც უნდა ევლო, წყალი ნაგუბარში ჩადგა... ეროვნულმა სულიერმა ძალამ იპოვა შესაფერი გამოხატულება და ასპარეზი...

აი ამ თავდადებულ, უანგარო, შრომის მოყვარე და ღვაწლმოსილთა გუნდს ეკუთვნი შენც, ჩვენო მოჭირნახულევ!

და ამ მაშინდელ სცენის მუშაკთა გუნდში შენ იყავ მოციმციმე ვარსკვლავი, რომლის სხივებსაც აღტაცებაში მოჰყავნდა თვისი მნახველნი; შენ იყავ ის ნიჭით მორქმული ბუმბერაზი, რომელსაც თავის სიძლიერით განცვიფრებაში მოჰყავნდა შინაურიც და გარეულიც, დიდიც და პატარაც... შენ იყავი ისევ ის ნაზ გრძნობათა გამომხატველი ჰარმონია-სიმწყობრე, რომელსაც ძალაუნებურად ემორჩილებოდა მტერიც და მოყვარეც, მოხუციც და ყრმაც, ქალიც და კაციც—შენ იყავ ის დიდი მსახიობი, რომლის მსგავსიც დიდ ეროვნებათაც იშვიათად ჰყავთ ხოლმე,—რომელიც იყო, არის და იქნება ქართველთა სიამაყე, სიქადული და დიდება!

ვუსურვებთ ჩვენს ხალხს კვლავაც გამოსჩენოდეს მარიამ საფაროვ-აბაშიძისთანა ნიჭიერი სასცენო მოღვაწე.

შენ კი, ქ. მარიამ, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ შენი ნამაგდარი ქართული სცენა უფრო მეტად აყვავებული ენახა.—

დ. ნახუცრიშვილი.

დამსახურებულ და ნიჭიერ მსახიობ-ქალის მ. მ. საფაროვ-აბაშიძის იუბილე დღეს იქნება გადახდილი ქართულს თეატრში. საიუბილეო დღესასწაულის გეგმა ასეთია: **დილით** 1) 12 საათზე მ. მ. საფაროვ-აბაშიძისას სცენაზე გამოიყვანს მხცოვანი მგოსანი **აკაკი** და მიჰმართავს სიტყვით. 2) „მრავალ ჟამიერ“ კანტატა ზ. ფალიაშვილისა, ორკესტრი „ახალის კლუბი“-სა და შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილარმონიულ საზოგადოებისა. 3) მილოცვა სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებებისა და პირისა (შიგა და შიგ იგივე) ხორო ქართულ ეროვნულ სიმღერებს იტყვის). დილის დღესასწაული დასრულდება იუბილარის სიტყვით. **საღამოთი** (8 საათზე): 1) შეერთებული ხორო ქართულ გიმნაზიისა და ფილარმონიულ საზოგადოებისა და „ახალი კლუბის“ ორკესტრი შეასრულებს კანტატას, 2) ქართულ დრამატიულ დასის მიერ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, ვასო აბაშიძისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:ა) „პარიზელი ბიჭი“ კომ. 2 მოქმედებად და ბ) „ბიძიასთან გამოხუმრება“ რ. ერისთავისა. გ) მილოცვა დრამატიულ დასისა და დასასრულ აპოთეოსი.

მისალოცი დეპეშები

ერევანი.

აღტაცებით ვეგებებით ძვირფას მარიამ მიხეილის ასულის დღესასწაულს. იგი მრავალ წელთა განმავლობაში, რამდენიმე ღირსეულ ამხანაგებთან ერთად, დამამშვენებელი იყო განახლებულ ქართულ თეატრისა და უაღრესად ხელოვნურ თამაშით მშობლიურ ხელოვნების სიყვარულს გვიღვივებდა, მშვენიერებისა და კეთილის გრძნობათ გვიფაქიზებდა.

ჩვენს უგულითადეს სალამს ვუძღვნით მხცოვან იუბილიარს და გულწრფელად ვუსურვებთ კვლავ ხანგრძლივს სიცოცხლეს მის სასიყვარულო საქმის სამსახურისათვის, რათა თავისის მაგალითით სხვანიც აღაფრთოვანოს. ამასთანავე პირადად მას ძღვნად ვუგზავნით მცირე წვლილს.

ერევნის ქართველთა მონდობილობით **ბაგრატ ვირსალაძე, დიმიტრი ხოშტარია, ლოლუა.**

ენოტაევსკი (ასტრახანის გუბერნია). ენოტაევსკის პოლიტიკური გადამოსახლებულნი სალამს უძღვნიან ქართულ სცენის დამამშვენებელ დღევანდელ იუბილიარს, მარიამ საფაროვ-აბაშიძისას.

გრიგოლაშვილი, რაზმაძე, ტერმინასოვი, ხუნრუკიძე, ფარასტაშვილი, ჯაფარიძე.

დონის-როსტოვი

გთხოვთ გადასცეთ ქართულ თეატრის ძვირფას ვარსკვლავს, **ქ-ნ მარიამ საფაროვ-აბაშიძისას** ჩვენი უგულითადესი მილოცვა და ჩვენი სუსტი, მაგრამ გულის სიღრმიდან ამოსული ხმა შეუერთოთ საერო დღესასწაულს. ქართული დრამატიული ხელოვნების აყვავებას შეალია სახელოვანმა მსახიობმა თავისი საუკეთესო დღენი, მის ტაძარს მიუძღვნა მსხვერპლად თავისი ახალგაზრდობა, ნიჭი, სიცოცხლე, სიხარული. არა სიმდიდრის, არა დიდების, არა სხვა რაიმე პატივის მოხვეჭას ეძიებდა; მხოლოდ გულწრფელი სიყვარულით გატაცებული თავგანწირულად ემსახურებოდა მშობელი ქვეყნის განვითარებას, ამაღლებას, აღდგენას. არ დაივიწყებს მამული ერთგული შვილის ღვაწლს და სამარადისოდ გულში ჩაიბეჭდავს მის სახელს და პატივისცემას მისდამი. სამშობლოდან გაძევებულნი, მის ცხოველ მზეს დანატრულებულნი, უცხო მხარეს გარდახვეწილნი, სიყვარულითა და აღტაცებით მოვიგონებთ ჩვენი სცენის სიმშვენიერეს და სიამაყეს და სავსე გულითა და სულით ვუსურვებთ დღეგრძელობას.

დონის-როსტოვის ქართველ პოლიტიკურ გადმოსახლებულთა ჯგუფი.

ქართული საღამო

ფოთში.

წ. კ. გ. ს. ადგილობრივ განყოფილების გამგეობის თაოსნობით 14 იანვარს გ. ავვერინოს შენობაში გაიმართა საზოგადოების სასარგებლოდ ქართული საღამო, რო-

---

მეორე სურათში სულ სხვა მომეჩვენა, სულ სხვა გრძნობა დავინახე, სულ სხვა გრძნობამ შემიპყრო. ეს იყო ტანჯვა იმავე არსების. იგი არც ტიროდა, იგი არ კვნესოდა. პირ-იქით იგი ანუგეშებდა თავის მოხუც მამას. მაგრამ ხმა მისი პირველად თუ დილის სიოს ჰგავდა, ყვავილებს რომ ცვარს აყრევინებს, ეხლა მოჭრილი დაფნის დაჭკნობას წარმოადგენდა. ცქრიალა თვალები ნელა-ნელა იძვროდა ბუდეში, თითქოს არ ყოფილიყოს არაფერი შეხედვის ღირსი. ისევ ის კედლები, ისევ ის ფანჯრები, თითქოს ქალის ცრემლები მათ შეესვათ ღრუბელსავით, ნოტავდნენ ცრემლებით.

მესამე და უკანასკნელ მოქმედებაში სულ სხვა ვნახე.

ეს უმანკო მხიარულებაში, ეს უმანკო მწუხარებაში ქალი, რაღაც სატანად გადაქცეულიყო. შეიძლება სადღაც გულის სიღრმეში კი ჩაეჩქმალოს საკუთარი სიკეთე და სიწმინდე, მაგრამ იმდენი სხვისი ტალახი, სიბინძურე გადაჰფარებოდა, რომ იგი იწვევდა ზევით კიდევ მეტს საბანს სულმდაბლობისაგან შეკრულს.

მაშინ მივხვდი, რომ სხეულის სიწმინდესთან სულის სიფაქიზეს მხოლოდ მაშინ ჰკარგავს კაცი, როცა სხვამ მოატყუა. მოუსპო იმედი, რომ თვით დაკარგვა ქალწულების არაფერია, თუ თან არ დაჰყვა გახრწნა სულისა.

შენ კი რას შვრები? ჩამჩხავლა რაღამაც თავში. რად დაუკარგე ყოველივე ამ ქალს. ნუ თუ ოდესმე დამშვიდდება შენი სინიდისი. რა ანგარიშში მოსატანია აქ სიღარიბე, გაჭირვება, მომავლის გაურკვევლობა.

გადავწყვიტე. რაც იქნება იქნება და სხვისი ჯალათი კი არ ვიქნები. არც თავის თავის. მე ასეთს მწუხარებას თუ სხვას მივაყენებ, ვერ დავრჩები მშვიდად.

მაშინვე გზაზე დავეწიე.

დავეკითხე:

— თქვენ და დედა თქვენი იქნებით ხვალ სახლში?

— კი!—მიპასუხა ქალმა, რომელსაც ეტყობა გაუთვალისწინდა ამ წარმოდგენის შემდეგ მომავალი და დამწუხრებული, თითქმის ბანცალით მიდიოდა სახლისკენ.

— მე მოვალ.

ქალი მიხვდა.

— მე კი არ მოველოდი. უსათუოდ ამ პიესამ იმოქმედა შენზე.

— მართალია!

— ყველა შენი იქვებ. რას შეებიან? მე უბედურათ ვგრძნობ თავს, მაშინ არ ღირს.

— თუ ეს არ მოხდა, ორივე საუკუნოდ უბედური ვიქნებით. შენ სირცხვილი დაგწვავს, უიმედობა ცუდს ნაბიჯს გადაგადგმევინებს, მე კი სინიდისის ქენჯნა არ ამშორდება.

— გიყვარვარ მაშ?

— მართალი ვუთხრათ ერთმანეთს. ისეთი სიყვარული, როგორც რომანებშია, ათასში თუ ერთს ეწვევა. ასე ჩვენ ერთმანეთი არ გვიყვარს, მაგრამ სამუშაო მყუდრო ცხოვრებისთვის ორივე ვგრძნობთ ერთმანეთისადმი საკმაო მიმზიდველობას.

ორი კვირის შემდეგ მე მეჯვარე ვიყავი.

— გადაჭარბებული ფანტაზიური მოვლენაა—თქვა უფროსმა ქალმა.

— საწყალი ხელოვნება! რა პროზაიკული ნაყოფი გამოუტანია გაიფიქრა სუსტმა, მოწყენილმა სტუდენტმა; სიზანტის თუ ზრდილობის გამო არაფერი კი უთქვამს.

III.

სხვა გვარი ამბავი მსურს გიამბოთ, არ ვმალავ: მომქმედი პირი მე თვითონ გახლავარ. ხშირად მოვყვები ხოლმე ამ ამბავს, რადგან მსურს გავითავისუფლდე მუდამ გულზე დაწოლილის სირცხვილისაგან. ყოველივე მოვიმოქმედე, ყოველივე გავშინჯე, თავი მაინც აგერ ოცზე მეტი წელია დახრილი მაქვს და პირდაპირ თვალებში ვერავისთვის შემიხედნია.

ოთხი წლის დატოვებული მქონდა უნივერსიტეტი. რუსეთის ქალაქში ვმსახურებდი. ერთხელ ჩემს ამხანაგთან შევედი. სახლში არ იყო. ვუცდიდი. დროს გასატარებლად გაზეთი მოვიძიე, მაგრამ ძველის გარდა ახალი ვერ ვნახე. ძებნაში, სადღაც კუთხეში მიგდებულ წიგნებს წავაწყდი. გავფერთხე მტვერისგან; დავიწყე კითხვა. ეს იყო ლექციები „რომის უფლებისა“. ერთხელ ამ წიგნით ვემზადებოდი გამოცდისათვის. რაც მეტს ვკითხულობდი, მით მეტად შევდიოდი სულ სხვა სფეროში. ამ ჩემგან ხაზგასმული სტრიქონები, აი კითხვაში შეჩერების დროს და წვრილი ანგარიში წვრილი ხარჯებისა...—მათ გაალვიძეს ჩემში სრული სინათლით მთელი ხარკოვს ცხოვრება. სუმის ქუჩა, სახალხო წიგნთსაცავი დერჟარნოვსკის რესტორანი, ქიმიური ობსტრუქცია, ჩემი ოთახი ბაღის ქუჩაზე, მოხუცი დიასახლისი, დიასახლისის ქალის საკვირველი თითები, უჯაათი, უდიერი დღე და ღამე გაბმული კითხვა, ამოწერა, გამეორება დიდებული გეგმები მოქმედებისა და სუსტი დაწყება ამ საქმეებისა, თავზე ხელაღებული ქეიფი, სმა, როცა სისულელის არ გეშინიან და სასაცილოს არ ერიდები, რადგან იმედი გაქვს, რამ წამს ისურვებ ყოველივეს შეასწორებ, გამოიყიდი... მთელი თავაღერილი გულადი ცხოვრება... და შემეცოდა ჩემი თავი.

რა ოცნება მქონდა და რით დათავდა?! ამ მწუხარე გულით დავტოვე ამხანაგის ოთახი და ნოტიო ღამეში, ტალახიან ქუჩებში დავსეირნობდი. რა მექნა? რითი მეშველა თავისთვის? შეძლება არაფერი მქონდა, ზურგზე მეკიდა სარჩენად, მოსავლელად მთელი ოჯახი: სარჩენად მოხუცი დაავადმყოფებელი მამა და საზრუნავად პატარა თოთხმეტი წლის და.

ნ. ლორთქიფანიძე.

(დასასრული იქნება)

მელიც შესდგებოდა ორი განყოფილებისაგან. მონაწილეობას იღებდნენ ვანო სარაჯიშვილი, გრიშაშვილი, განსევსკაია და სხვანი. საღამომ დიდი საზოგადოება მოიზიდა. დარბაზის სივიწროვისა გამო, —რომელიც იყო ერთად-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი საღამოს გამართვაში— ბევრმა ბილეთი ვერ იშოვა და იძულებული შეიქნა მეტად ნაწყენი უკან გაბრუნებულიყო.

ცხრის ნახევარზე ფარდა აიხადა და მომღერალთა გუნდმა ბ. მეგრელიძის ლოტბარობით შეასრულა ძილის პირი, „შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი“ და მასთან რამოდენიმე სხვა ქართული სიმღერები. შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა წ. კ. საზოგადოების დაარსების და მდგომარეობის ამბავი. ბ-ნმა **სარაჯიშვილმა** იმღერა რამოდენიმე რომანსები ქართულად, იტალიურად და რუსულად. განსევსკაიას აკომპონიმენტით და თავისი სასიამოვნო ხმით საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო. **ბ. გრიშაშვილმა** წაიკითხა თავისი ლექსები და საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა საუცხოვო დეკლამაციით. ბ. პილიძემ დაუკრა სკრიპკაზე: „სერენადა“ ბრაგასი, „პიპური“ ოპერა ფავორტიდან და სხვა, რომელიც კარგად იქმნა შესრულებული. კარგად წაიკითხა ბ. გოლოვანმა რუსულ ენაზე ოპოჩინინის პოემა „წმიდა ნინო“. ბ. ით. წულაძემ საუცხოვოდ წაიკითხა გურული და იმერული სცენები—საზოგადოებაც ბევრი აცინა. ძმ. ჩავლეიშვილების გუნდმა იმღერა გურული სიმღერები. დასასრულ გაიმართა ქართული და ევროპიული ცეკვა. ქართულ ცეკვაზე უკრავდა საგანგებოთ მოწვეული საზანდარი. საერთოდ საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა.

აქ ეს ქართული საღამო პირველათ გაიმართა და მსგავსი შემთხვევაც კი პირველია. დიდი ენერგია დაიხარჯა ამ საღამოს გამართვაში და არც უნაყოფოდ ჩაუვლია. თითქმის მთელი შრომა ოთახების ქართულად (უკეთ როვსთქვათ, აღმოსავლეთის) გემოვნებაზე მორთვაში გასწია **ბ. ს. ხარაზიშვილმა** და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საუცხოვოდაც იყო მორთული, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია. სხვა მორთულობასთან ერთად ოთახების კედლებს ამშვენებდა ჩვენი გამოჩენილ მეფეთა და მწერლობის სურათები. დიდი შრომა მიუძღვის ამ საღამოს გამართვაში **ქ. ა. მიქაბერიძისას**, რომელიც იყო საღამოს დიასახლისიც და ბ. **ი. მეუნარგიას**, ამათ არ დაიზარეს თავიანთ ენერგია ამ საქმისათვის. დიდი შრომა მიუძღვის ბ. **ბ. მ. გვალიას, ნ. ცინცაძეს** და **ლ. ტულუშს**. აგრეთვე დიდი დახმარება გაუწიეს ქ. **ს. საბახტარიშვილისამ, ნ. მეუნარგიასამ**. ბ. **ლ. გაგუამ, გ. საბახტარიშვილმა** და სხვებმა.

საღამო, მართალია, ქართული იყო, მაგრამ იმდენად მრავალ ფეროვანი, რომ ყველა ეროვნების საზოგადოება მოიზიდა და ნასიამოვნებიც დარჩა. საღამოზე, ნიშნად ხსოვნისა ბევრმა შეიძინა საგანგებოდ ამოჭრილი „ეტონები“.

ეჭვი არ არის ფოთის საზოგადოება ასეთი დიდი სიამოვნებისათვის მადლიერი ქნება ყველა იმ პირებთაგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საღამოს გამართვაში...

ამ მიმდინარე წლის 14 იანვარი ფოთის მატიანეში აღსანიშნავ დღეთ უნდა ჩაითვალოს. **ჭრიჭინა.**

ინგლისელი სტუმრები რუსეთში

(დეპეშები)

მოსკოვი. ტრეტიაკოვის გალერეიაში ინგლისელ სტუმრებს მისალმა ოსტროუხოვი, მას უპასუხეს სესილმა და ბერინგმა. ტრეტიაკოვის გალერეიდან სტუმრები მართა-მარინეს სავანეში გაემართნენ. შემდეგ სტუმრები სინოდის სასწავლებელში იყვნენ, სადაც სასულიერო კონცერტი მოისმინეს.

საღამოს „დიდ თეატრში“ ინგლისელ სტუმართა პატივსაცემლად წარმოადგინეს „რუსლანა“, „ჟიზნ ზა ცარია“ და „კონკა გორბუნკა“.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

ჯულფა. ქოიდან ჩამოიყვანეს დილამში დაპატიმრებული, კატორღიდან გამოქცეული, ლებედევი, რომელიც თავრიზში რუსის ჯარზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა.

ქოი. დეკემბერში ქოისა და სალმასიდან ოსმალეთს გაქცეული ფიდაი-რევოლუციონერები სალმასში დაბრუნდნენ. ისინი ოსმალთა ასკერებად არიან გამოწყობილნი და ოსმალთა პასპორტები აქვთ. გადაცმულ ფიდაები ქოიშიაც არიან. როდესაც ქოისა და დილმანის გუბერნატორები ფიდაების დაპატიმრებას მოინდომებენ ხოლმე, ნებას არ აძლევენ, ოსმალეთის ქვეშევრომიაო.

ლონდონი. „რეიტერის“ სიტყვით, ინგლისი და რუსეთი აპირებენ სანახევროდ ასესხონ სპარსეთს ერთი მილიონი მანეთი.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

მუკდენი. ჩრდილოეთ მანჯურიიდან ყოველ დღე გაწვრთნილი ჯარის რაზმები მოდის. ჯაოერსუნმა მუკდენში მყოფ გენერალ **მას** უბძანა, ფინქუანჩენს წადი და რევოლუციონერებს, რომელთაც გენერალი ლანი ჰმეთაურობს, ხელი შეუშალე და გადმოსვლა არ დაანებოო. ამბობენ კი, ლანს განზრახვა აქვს გაიპინთან გადასხას ჯარი, დაშიჩაოს გზით ლიაოიანს მიაშუროს და შემდეგ მუკდენი აიღოსო. ხაზინის გასამდიდრებლად გადასწყვიტეს მუკდენის მუზეუმში შენახული სპილენძისა და ფაიფურის ნივთები გაჰყიდონ.

ციციკარი. ქაილარიდან განდევნილი 500 მონგოლი ლუბინფუსთან გაჩერდა და ჩინეთის მთავრობას წინადადება მისცეს, ქალაქი დასტოვეთო. მთავრობამ უარი უთხრა. ეხლა დიდ ბრძოლას ელიან.

ხანკოუ. ვიცე-კოროლის დუანჯიშუას დელეგატები მოვიდნენ ვიცე-პრეზიდენტ ლიუანჯუნთან მოსალაპარაკებლად. ვიცე-კოროლსა ჰსურს რევოლუციონერებს მიემხროს.

კულჯა. რევოლუციონერებმა ურუმცის გუბერნატორთან საზავო მოლაპარაკების დაწყება არ მოისურვეს, რადგან მას ჩინელები აუწიოკებია. სუიდუნიდან ერთი ბატარეია გამოვიდა.

ჩიფუ. ქუანსენი და ლუნკოუ მთავრობის ჯარმა აიღო. რევოლუციონერები დენჯოუფუსკენ გააქცევს ქუანსუნში მთავრობის ჯარი ძლეტს და აწიოკებს უთმოებსა და რევოლუციის მომხრეებს. აუარებელი მშიერი და უსახლ-კარო ხალხი მთებში გაიხიზნა.

კუანჩენძი. მუკდენში დაბანაკებულ მეოცე დივიზიის უფროსმა იუანშიკაის დეპეშა გაუგზავნა, მანჯურიის ჯარი ბოგდიხანის ერთგულია და შეეცადე კონსტიტუციურ მონარქიის დამყარებას, რესპუბლიკას არ დასთანხმდეო.

მუკდენი. რადგამ ახალ-ახალ რაზმების შედგენისთვის ფული არა ჰყოფნით, მოხელეებს ჯამაგირს აღარ აძლევენ. უმრავლესობამ სამსახურს თავი დაანება. სამმართველოში სრული არევ-დარევაა. მცხოვრებნი ქალაქიდან იხიზნებიან.

ხარბინი. დილის რვა საათზე მონგოლებმა და ჩინელებმა ერთმანეთს სროლა აუტეხეს ქალაქ ლუბინფუსთან. რკინის გზის ნეიტრალიტეტის დასაცავად მანჯურიის სადგურთან რუსის ჯარი ჩააყენეს. სროლის დროს ამ რაზმის აფიცრები მოჰკლეს და ერთი ჯარის კაცი დააპატიმრეს. რუსის ჯარის უფროსის ბრძანებით, ვინც რუსებს ესროდა, ყველას იარაღი აჰყარეს და დააპატიმრეს.

გაზეთებიდან.

მეფის მდგომარეობა.

ჩინეთში ხმა დავარდა, ქვრივ დედოფალს გადაუწყვეტია თავი მოიწამლოს და მეფეც მოსწამლოს, იმ შემთხვევაში, თუ დინასტიამ ტახტი დაჰკარგაო. აქამდე იმედი ჰქონდა, უცხოელები საქმეში ჩაერევიანო, ეხლა კი, როცა სახელმწიფოებმა განაცხადეს, იმედი გადაუწყდათ.

„ჰაბელგეზელშაფტის“ პეკინელ კორესპონდენტს ბატონიშვილ კუნგთან უსაუბრნია. კუნგს უთქვამს, სიცრუეა, ვითომც მეფეს გადადგომა ჰსურდესო. მისის აზრით, ჯარი და ბატონიშვილები მეფეს გადადგომის ნებას არ მისცემენ. ამას გარდა, დინასტიასაც სირცხვილად მიაჩნია ტახტზე ხელის აღება. ბატონიშვილ კუნგის აზრით იუანშიკაი უფრო ჰვნებს დინასტიის საქმეს, ვიდრე ჰშველის რამე. მეფის გვარეულობა დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკელნი უძლურნი არიან და ამის გამო გამარჯვების იმედი აქვს.

გენერლების განცხადება.

იმპერატორის ჯარის უფროსებმა მეფეს განცხადება მიართვეს და ურჩევენ, გადადექით სამსახურიდან, რესპუბლიკელების მოთხოვნილებას დასთანხმდითო. თუ გვიბრძანებთ, როგორც ქვეყნის ერთგულნი შვილნი, მტერს შევებრძოლებით, თუმცა მოგახსენებთ კი, რომ რევოლუციონერები ბევრად ძლიერნი არიან ჩვენზე და თუ დაგვამარცხეს მაშინ ხომ დინასტიის საქმე უარესად წავაო. ბატონიშვილები ამტკიცებენ, ასეთი განცხადება ნამდვილად არ გაუგზავნიათ ჯარის უფროსებს. ეს მოგონილი ამბავიაო.

იუანშიკაის დახასიათება.

პრეზიდენტს სუნიათზენს ყველასთვის დაუგზავნია განცხადება, რომელშიაც იუანშიკაის მოღალატეს უწოდებს. იუანშიკაიმა, ამბობს იგი, ორივე მხარეს უღალატა, დაივიწყა ხალხი და მხოლოდ თავის თავისთვის ზრუნავს, ჰსურს მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდოსო.

გენერ. ლიანბის მოკვლა.

პეკინში ამას წინად გენერალ ლიანბის ყუმბარა ესროლეს და მსუბუქად დასჭრეს. ჭრილობა პატარა იყო, მაგრამ დროზე ვერ მიეშველნენ, გენერალი სისხლისაგან დაიცალა და გარდაიცვალა.

საქმე ასე მოხდა: ლიანბი ბატონიშვილთან იყო და იქიდან ღამე ბრუნდებოდა. იმ დროს, როდესაც გენერალი დახურულ ეტლიდან ჩამოვიდა და კარებს მიაშურა, გაიქროლა მეორე ეტლმა და შიგ მჯდარმა აფიცერმა ლიანბის ყუმბარა ესროლა. ყუმბარა აფეთქდა და მსროლელიც იმსხვერპლა. მსროლელს სახე ისე დაუსახიჩრდა რომ მისი ცნობა შეუძლებელი გახდა. ამბობენ, მკვლელი რევოლუციონერიაო.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

ლონდონი. ლლოიდს პერიმიდან ატყობინებენ, იტალიელებმა შეიჰსაიდს ხელახლად დაუშინეს ზარბაზანიო.

რომი. ბენგაზიდან იტყობინებიან 17 იანვარს 400 ბედუინი ფაიატი-წყაროსთან იტალიელთა სიმაგრეებს დაეცა, მაგრამ უკუაქციეს. ბედუინებმა 13 კაცი დაჰკარგეს, იტალიელებმა—4. დილას, ოსმალები და ბედუინები, ზარბაზნებით დაეცნენ იტალიელთა სიმაგრეებს. მათ წინ დაუხვდა იტალიელთა მხედრობა. ტობრუკიდან იუწყებიან, აქედან ცხრა ვერსის მანძილზე ოსმალ-არაბთა რაზმი შეამჩნიესო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

21 იანვარი.

პარიზი. ლისაბონიდან „ჰავასის სააგენტოს“ ატყობინებენ: პორტუგალიაში გაფიცვა გათავდა, მთავრობამ მოძრაობა ჩააქრო.

ლონდონი. პორტუგალიის მეფედ ნამყოფმა მანუელმა ტახტის მაძიებელი მიღუელ ბრაგანცელი ინახულა. ეხლა „რეიტერის სააგენტოს“ შეუტყვია, რომ მეფე მანუელს 17 იანვარს ლუკრში თავისი ბიძაშვილი უნახავს. მას უთქვამს, ყოველნაირად დაგეხმარები ტახტის დასაბრუნებლადაო.

ოლპაგო (მექსიკა). ვინაიდან მადერომ დაპირებანი ვერ აასრულა, დროებით პრეზიდენტად ქუარესის მეამბოხეებმა ვასკესაჰომესი აირჩიეს.

ბელგრადი. მილოვანოვიჩმა მეფეს სთხოვა, კაბინეტის გადადგომის საკითხი უეჭველად ხვალ გადასწყვიტეთო. მეფე ახალ არჩევნების მოხდენას მოითხოვს.

ლისაბონი. პალატამ დაადგინა საალყო წესები შემოიღოს ერთის თვით. პალატამ მსჯელობა იქონია იუსტიციის მინისტრის წინადადების თაობაზე. მინისტრი ფიქრობს დაპატიმრებულნი ჯგუფებად დაჰყოს და სამხედრო სამართალში მისცეს.

პორტსმუტი. წყალ ქვეშ მავალი ნავი „ატრი“ და ნაღმოსანი „აზარი“ პორტსმუტიდან დილას გავიდნენ. დაჯახების შემდეგ „ატარი“ დაიძრა. შიგ 10 მეზღვაური და 4 აფიცერია. მათი გადარჩენის იმედი არა აქვთ.

რუსეთი.

ასტრახანი. სატუსაღოს უმფროსი ებენი მოქალაქე უვაროვმა რევოლვერით დასჭრა.

სარატოვი. გაზეთების ცნობები, ვითომც ეპისკოპოს გერმოგენისა და ილიოდორის დათხოვნას დიდი შთაბეჭდილება მოეხდინოს, სინამდვილეს მოკლებულია. ორივეს დათხოვნის ამბავს სრულის სიწყნარით შეჰხვდნენ. საქმის დასასრულით კმაყოფილნი არიან არა მარტო საერო პირნი, არამედ სამღვდელოებაც. გერმოგენის მახლობელ მღვდლის აგიტაციას არავითარი წარმატება არა აქვს. ეპისკოპოს გერმოგენის შესახებ საშუამდგომლო დეპეშები სწორედ ამ ღვდელს ეკუთვნის.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

ბარეშე ცნობა.

თვალსაჩინო მოგება. უკანასკნელ ტირაჟის დროს ამ წლის 2 იანვარს, უპირველეს 200,000 მანეთის მოგების მონაწილეთ აღმოჩნდა ორი ნოქარი, კიევში არსებულ ცეიტლინისა და გრინბურგის ფირმისა, ბ. შკლიარევსკი და ი. მოტილევსკი. ამათ სულ ეხლა-ხან უყიდნიათ **ლ. ვ. ლანდაუს** და ამხ. კიევში არსებულ კანტორაში პირველ-ხარისხის მომგებიანი ბილეთი და მხოლოდ 10 მანეთი ჰქონიათ შეტანილი, ამის გამო მათ მთელი მოგების ერთი-მეათედი ერგებოდათ. **ლ. ვ. ლანდაუს** და ამხ. კიევში არსებულმა კანტორამ ამ ახალგაზდა ყმაწვილებს 7 იანვარს უკვე ჩააბარა მათი ხვედრი მოგება—20,000 მან.

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 18 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. დამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გადიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

გამოცდილმა
მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, ხაზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის**. ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შევივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. **входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.**

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.69)

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის მელანი
ტეხნო-ქიმიურ ამხ-სა
„ქიმიკოსი“
საწყობი და კანტორა: მალაკნის ქუჩა, № 16. (8.1058.2)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადული“-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** გ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—20 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის [illegible]
მიხეილის ქუჩა, № 59, [illegible] სავადმყოფოს
პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
[illegible] ავადმყოფთ[illegible]

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებს, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდგან.

წამლობა „606“-ით.
(100—1615—15).

„პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.
1860 წ. დაარსებული.
ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.
თმის საზრდელი
„იის ექსტრაქტი“
Lotion Végètale aux Violettes d'Antibes
ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ
ქერტლის საშუალება და თმის გასამაგრებელი
მთავარი საწყობი: ტფილისი, საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (12—129'—2)

დაიბეჭდა და იყიდება
ნ. ვ. აბრამიანის
შემდეგი შრომანი:
I
სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელო,
ნავთის მრეწველობისა და ნავთის ქარხნის წარმოებასთან დაკავშირებულ იტალიურ ორმაგ ბუღალტერიის სისტემით. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა ფასი 2 მ. 50 კ.
II
სარგებლის გამოსაანგარიშებელი ტაბლიცა.
1—30 დღეში, 1/4—12%-დე, ყოველგვარ თანხისა 1—10000 მანეთამდე.
მეორე გამოცემა, ფასი 85 კ.
III
ყველასთვის გასაგები ცნობათა წიგნი,
საბუღალტრო კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთა და კანტორ. მომუშავეთათვის, ფას. 30 კ.
ამ გამოცემათა საწყობი ნ. აბრამიანის საბუღალტრო კურსების ბინაზე, ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, № 22, ვინც პირდაპირ საწყობიდან ფასდადებით გამოიწერს, გადასაგზავნს არ იხდის. (10—193—2)

გაუფრთხილდით სიყალბეს!
პროვიზორ
გ. ფ. იუზერნსის
ბორნო-თიმოლის
საპონი
ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიზებისა, მელაჲ და ჭორფლის წინააღმდეგ **ქათ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა,**
ყველგან იყიდება.
1/2 ნაჭერი 50 კ. 1/2 ნაჭერი 5[illegible] კ.
Метилы 5215. (18.1178.9)
ოქროს მედალი, ლონდონი 1892 წ.
[illegible]